შ.პ.ს. „ჰიდროგეოპროექტი“ - L.T.D. „HIDROGEOPROJECT“

205175415

№19/25 „5“ დეკემბერი 2025წ.

საექსპერტო-ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, ბაგებში, წყნეთის გზატკეცილი №40-40ა (ს.კ.01.14.08.001.600) დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გავლენა ირგვლივ არსებული შენობებისათვის, პროექტში განხორციელებული კორექტირების გათვალისწინებით .

ქალაქ თბილისში, ქალაქ თბილისში, ბაგებში, წყნეთის გზატკეცილი №40-40ა (ს.კ.01.14.08.001.600) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. საპროექტო ობიექტის პროექტის არქიტექტურული ნაწილი დამუშავებულია შ.პ.ს „არკო”-ს მიერ. პროექტის არქიტექტურული (და კონსტრუქციული) ნაწილის მიხედვით, საპროექტო შენობა (კორექტირებამდე) ღერძებში "1"-"10" და "ა"-"დ" შვიდ სართულიანია, მართკუთხა მოხაზულობის, ზომებით ღერძებში LXB=42.6X18.6მ ღერძებში "ე"-"თ" და "1"-"6" შვიდ სართულიანია, ტრაპეციული მოხაზულობის ზომებით LXB=19.2X21მ ხოლო ღერძებში "ო-რ" და "ი"-"ნ" ექვს სართულიანია, ოთკუთხა მოხაზულობის, ზომებით LXB=28X18.55მ

პროექტმა განიცადა ცვლილება.

პროექტის კორექტირებული ვარიანტი გულისხმობს:

ღერძებში ,,1’’-,,10’’ და ,,ა’’-,,დ’’ VIII სართულის დამატებას;
,,რ’’ ღერძის გასწვრივ არსებული აივნების გაგანიერებას, ნიშნულებზე 0,00-დან 13,20მ. ჩათვლით (სვეტის გარე სიბრტყიდან 2,25მ მანძილზე).

,,ა’’ და ,,9’’ ღერძების გასწვრივ, არსებული აივნების დაშორება 20 სმ. რიგელების სიბრტყიდან გაიზარდა 120 სმ-მდე. ნიშნულებზე +6,60-დან +16,50 ჩათვლით.

შენობის მზიდი სისტემა გადაწყვეტილია ჩარჩოვანი სივრცული სისტემის სახით, მონოლითური სართულშუა გადახურვებით, რომლებიც ასრულებენ

სისტემის ჰორიზონტალური დისკოს როლს. ფილის წიბოები, რომლებიც ქმნიან კესონური გადახურვის ეფექტს, გათვალისწინებულია ყველა ღერძის გასწვრივ.
ჩარჩოს სვეტების განივი კვეთებია 400X1000მმ 600X600მმ 500X500მმ 400X400მმ
რიგელების 400X500მმ 400X600მმ 250X500მმ
გადახურვები-მონოლითური რკინ.ბეტ. ფილა სისქით -200მმ და 160მმ
სახურავი-მონოლითური რკინ.ბეტ. ფილა სისქით - 160მმ
კიბეები-მონ.რკინ.ბეტ. ჩანები და ბაქნები სისქით 160მმ. საფეხურები მონ.რკინაბეტონის.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის თანახმად, შენობის საძირკვლის ფუძედ მიღებულია I სგე, არგელიტების და ქვიშაქვების შრეობრივი მორიგეობა, სიმტკიცის ზღვარით ერთღერძა კუმშვაზე R=95.9 კგძ/სმ²


შენობის პერიმეტრზე ჩარჩოების შესავსებად გამოყენებულია წვრილგანზომილებიანი M-50 მარკის პემზობეტონის ბლოკები M-25 მარკის პლასტიფიცირებულ ქვიშაცემენტის ხსნარზე ზაფხულის პირობებში და M-50 მარკის პლასტიფიცირებულ ქვიშაცემ. ხსნარზე ზამთრის პირობებში.

პროექტში გათვალისწინებულია შემდეგი კლიმატური მონაცემები:
ქარის ჩქაროსნული ნორმატიული დაწნევა-45კგ/მ²
თოვლის ნორმატიული დატვირთვა-50კგ/მ²
სეისმურობა-8 ბალი

საპროექტო შენობის მიერ, ირგვლივ არსებულ შენობა-ნაგებობებზე ტექნიკური ზეგავლენის შესწავლის მიზნით (იხ ფოტო 1), გამოკვლევა ჩატარდა არანაკლები 20მ. მანძილით დაცილებული სამშენებლო ობიექტებისათვის. მიწის ნაკვეთს, რომელზედაც დამუშავებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობის პროექტი, ჩრდილოეთიდან ესაზღვრება წყნეთის გზატკეცილი. უმოკლესი მანძილი საპროექტო შენობამდე 16,0 მ-ია.

- დასავლეთიდან საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ორი ნაკვეთი საკადასტრო კოდებით №01.14.08.001.062 და №01.14.08.001.112 ; რომლებზედაც განთავსებულია 5 და 6 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსები. მინიმალური მანძილები საპროექტო შენობის კედლიდან, შესაბამისად 9,0მ და 7,0მ-ია.
- სამხრეთიდან საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.14.08.001.198 რომელზეც არ დგას შენობა და მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით №01.14.08.002.012, რომელზედაც განთავსებული 1 სართულიანი საცხოვრებელი სახლი საპროექტო შენობის კედლიდან მდებარეობს 14მ მანძილზე.

ფოტო 1. საკვლევი მიწის ნაკვეთი ს/კ №01.14.08.001.600



დასკვნა

ქალაქ თბილისში, ბაგებში, წყნეთის გზატკეცილის №40-40ა-ში მოქალაქეების საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე შ.პ.ს. „არკო”- ს მიერ დამუშავებული პროექტის მიხედვით, მრავალსართულიანი შენობის მშენებლობა შესაძლებელია.

საპროექტო კორპუსის საძირკვლების მოსაწყობად საჭირო ქვაბულის სიღრმის, საინჟინრო-გეოლოგიით განსაზღვრული გრუნტების ფენების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებისა და ირგვლივმდებარე შენობა-ნაგებობებამდე მანძილების გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ სამშენებლო სამუშაოები მთლიანად უზრუნველყოფს ირგვლივ მდებარე შენობების უსაფრთხო არსებობას როგორც მშენებლობის, ასევე მისი ექსპლოატაციის პერიოდში.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოები არანაირ ზეგავლენას მომიჯნავე შენობებზე არ იქონიებს.

წარმოდგენილი საპროექტო ცვლილება (კორექტირება) არ მოახდენს გავლენას მომიჯნავედ არსებულ შენობებზე არც მშენებლობის, არც ექსპლოატაციის პერიოდში.

შ.პ.ს. ”ჰიდროპროექტი”-ს
დირექტორი /ნ. ქიქავა/